ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N69

ქ.თბილისი

24 ნოემბერი, 2020 წელი
15^{45}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ირაკლი ზარქუა

მიხეილ ამაშუკელი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

რამინა ბერაძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ბირბიჩაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ოთარ გრიგოლია - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

ბექა დავითულიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ლევან დარახველიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი დოხტურიშვილი - გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

ნინო ლაცაბიძე - ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე;

ზაზა მამალაძე - ფრაქციის „თბილისი“ თავმჯდომარე;

თინათინ ნიბლოშვილი - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ვლადიმერ ძნელაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე;

ჯაბა ჯიშკარიანი - ფრაქციის „თბილისი“ თავმჯდომარის მოადგილე;

ქეთევან ჯოხაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“.

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი“ რეგისტრაციის შესახებ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი“ რეგისტრაციის საკითხი ბიუროს წევრებს გააცნო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ 2020 წლის 9 ნოემბერს ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართა ფრაქციის „თბილისი“ თავმჯდომარე ზაზა მამალაძემ. საკითხი განიხილა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, რომლის დასკვნის თანახმად, განცხადება, თანდართული მასალით (ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება), აკმაყოფილებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს და უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თბილისი“ რეგისტრირებულად ჩაითვალოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის მიმართვის დღიდან (09.11.2020წ.).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი